ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 19

დ. ლენტეხი. 8.10.2026.წ.

მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს დღის 11 სთ. ზე ჩატარდა საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე : ე. ლიპარტელიანი, წევრები: ხუტა მუკბანიანი, ამირან ქურასბედიანი, რევაზი გუჯეჯიანი. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ქურასბედიანი, საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღრიცხვის განყოფილების უფროსი გულივერ გაზდელიანი, საფინანსო საბიუჯეტო კომისიის მდივანი მთვარისა ლიპარტელიანი.

კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ 3 წევრი , შესაბამისად სხდომა უფლებამოსილი შეუდგა მუშაობას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი:

1. „ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 25 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხ. გ. გაზდელიანი /

2. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

მოისმინეს: „ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 25 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გ. გაზდელიანმა აღნიშნა რომ აღნიშნული საკითხი მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 24-ე და 91 -ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის N 28 დადგენილებით ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსავლები დამტკიცებულია 12321.9 ათ ლარით. მ.შ. გადასახდელები 8386.8 ათ. ლარი, გრანტები 796,0 ათ. ლარი, სხვა შემოსავლები 3139.1 ათ ლარი. ხარჯები 11227.9 ათ.ლარი. მათ შორის შრომის ანაზღაურება 3363.9 ათ ლარი, საქონელი და მომსახურეობა 1616.6 ათ ლარი, სუბსიდიები 5686. 9 ათ ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 391.0 ათ. ლარი, სხვა ხარჯები 160 0 ათ ლარი.

2026 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტის შემოსულობებში და ხარჯებში მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხებით შევიდა ცვლილებები და წარმოდგენილი იქნა შემდეგი სახით:

სოციალური დაცვის მუხლში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარების ქვე პროგრამას დაემატა პერსონალური მომსახურების დაფინანსების პროგრამის თანხა, რომელიც ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით და ხორციელდება ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალურად უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური, მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურეობა შეუძლია ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრებ 18 წლის და ან უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის პირებს რომლებსაც უფლებამოსილი სამედიცინო ექსპერტული დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე განსაზღვრული აქვს პერსონალური ასისტენტის მომსახურეობის საჭიროება და ასისტენტის ტიპი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გრანტებში მთავრობის განკარგულებებით დაემატა 846.3 ათ. ლარი, აქედან გამომდინარე ზოგიერთ მუხლში შევიდა ცვლილებები და წარმოდგენილი იქნა დაზუსტებული სახით.

ინფრასტრუქტურა მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის მუხლში საქართველოს მთავრობის N 878 განკარგულებით ხოფურის მჟავე წყლის კეთილმოწყობისათვის დაემატა 209.34 ათ. ლარი, N1137 განკარგულებით სტიქიის თანხებიდან ჭველიერის ხიდის და ლასკადურის ხიდის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იქნა 500.0 ათ. ლარი, N 2260 განკარგულებით 137.0 ათ. ლარი სკოლის ბრეკეტების შესაძენად.

კომისიის წევრებმა აღნიშნული საკითხი განიხილეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის სკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე | ე. ლიპარტელიანი|